



უნმინდესი პატრიარქის კირილეს განცხადება უკრაინის სასამართლოს მიერ ტულჩინისა და ბრაცლავის მიტროპოლიტ იონათანისათვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანასთან დაკავშირებით



მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უნმინდესი პატრიარქი კირილე **განცხადებით გამოვიდა** უკრაინის სასამართლოს მიერ ტულჩინისა და ბრაცლავის მიტროპოლიტ იონათანისთვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანასთან დაკავშირებით.

7 აგვისტოს ვინიცის საქალაქო სასამართლომ განაჩენი გამოიტანა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ტულჩინისა და ბრაცლავის ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსის, მიტროპოლიტ იონათანის (ელეცკიხი) მიმართ.

ამ უკანონო გადაწყვეტილებას წინ უძღოდა მეუფე იონათანზე ზენოლის მრავალი მცდელობა, რომელიც ყველაფრის მიუხედავად დარჩა თავისი ეკლესიისა და ქრისტეს რწმენაში თანამოძმეების ერთგული.

მე პირადად ვიცნობ მიტროპოლიტ იონათანს ლენინგრადის სასულიერო აკადემიაში სწავლისა და მოღვაწეობის წლებიდან. ჯერ კიდევ 1980-იანი წლების ბოლოს, მის დაშინებას წარუმატებლად ცდილობდნენ ათეისტური სახელმწიფოს სახელმწიფო უსაფრთხოების ორგანოები. და მათმა მიმდევრებმა, ქრისტეს ეკლესიასთან თანამედროვე მებრძოლებმა, განაგრძეს ეს სამარცხვინო საქმე, გამოიტანეს უსამართლო განაჩენი. მოხუც და მძიმედ დაავადებულ მღვდელთმთავარს, მართლმადიდებლურ სამყაროში ფართოდ ცნობილ საეკლესიო კომპოზიტორს, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს ქონების კონფისკაციით. აბსურდულ ბრალდებებს შორის არის „ქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავს კონსტიტუციური წყობის ძალადობრივ შეცვლას ან დამხობას ან სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდებას“, ასევე „უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას“.

ყველა ეს ბრალდება აბსოლუტურად უსუსურია, ხოლო ე.წ. მტკიცებულებები გაყალბებულია. ყოვლადუსამღვდელოესი იონათანი, ისევე როგორც მთელი ეკლესია, ლოცულობს მშვიდობისთვის, მოუწოდებს წმინდა რუსეთის სულიერ ერთობას და აგრეთვე იცავს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებებს, ამხელს განხეთქილების კანონიკურ სიცრუეს. სწორედ ამიტომ გაასამართლეს იგი.

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისადმი სიძულვილით ნაკარნახევ სასამართლოს ამ გადაწყვეტილებაში ჩვენ ვხედავთ რელიგიური თავისუფლების დარღვევის კიდევ ერთ აღმამფოთებელ აქტს, რწმენის დევნის მაგალითს.

კიდევ ერთხელ მოვუწოდებ მსოფლიო საზოგადოებას, რელიგიურ და პოლიტიკურ ლიდერებს, უფლებადამცველ ორგანიზაციებს, ყურადღება მიაპყრონ უკრაინის ხელისუფლების მიზანმიმართულ პოლიტიკას, რომელიც უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის განადგურებისკენ არის მიმართულია, და სწორედ ამ მიზნით გრძელდება იერარქებისა და კლირიკოსების, მონაზვნებისა და ერისკაცების უკანონო დევნა.